**ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თევზისა და სხვა მოპოვებითი რეწვის უკანონო წარმოებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია განმეორებით ანდა თევზის ჭერის სარეწი იარაღის, ფეთქებადი ან მომწამვლელი ნივთიერების გამოყენებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე, მოპოვებულის და საჭერი იარაღის კონფისკაციით“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე** **გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი** **ზ. კვაჭაძე.**

**თბილისი, 1974 წლის 30 აგვისტო.**